პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 მაისი ხუთშაბათი 1974 წელი 2. ძაბ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 107 (15928)

9 მაისს — გამარჯვების დღეს მოგილოცავთ, მეგობრებო!

გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე.

ბ. ხალდეის ფოტო (საკავშირო ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომუნისტების, ყველა შრომელის საბრძოლო პროგრამა

ორ დღეს, 1974 წლის 6-7 მაისს, მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობა. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივი: პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მინისტრები და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის პასუხისმგებელი მუშაკები, მთელი რიგი საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო და შემოქმედებითი დაწესებულებების ხელმძღვანელები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები ალმა-ათაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის მიხედვით“.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დროს, პერიოდში, როცა მტკიცედ, თანმიმდევრულად ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური გენერალური კურსი საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარების გრანდიოზული პროგრამა.

სახალხო მეურნეობამ მტკიცედ აიღო ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის სტარტი და ახლა საბჭოთის მშრომელები შეუპოვრად და ბეჯითად იბრძვიან საეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, იმისათვის, რომ საშობლოს მისცენ შეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით.

ეს ბრძოლა მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების ნიშნით, რომელმაც დასახა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები, მეურნეობრიობის მთელი სისტემის სრულყოფის, ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე სოციალისტური ეკონომიკის აყვანის ამოცანები.

ეს ამოცანები ახალი ძალითა და საფუძვლიანად იყო გაშუქებული ყამირის ათვისების — პარტიისა და ხალხის ამ დიადი გმირობის — დაწყების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ალმა-ათის საზეიმო ხხდომაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში.

პარტიის XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანმიმდევრული ბრძოლის შედეგად მივაღწიეთ შემობრუნებას „ცივი ომიდან“ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისაკენ, საერთაშორისო კლიმატის მნიშვნელოვან გაჯანსაღებას, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებას. ლენინური პარტიის ეს ბრძნული საგარეო პოლიტიკა ემსახურება კეთილშობილურ მიზნებს — ყველა ხალხის თავისუფალი განვითარების, ყველა ქვეყნის სოციალური პროგრესის პირობების უზრუნველყოფას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, მას განსაკუთრებული როლი ენიჭება, იგი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს საქართველოს კომპარტიის ისტორიაში, მთელ მის საქმიანობაში. პლენუმმა მიიღო პრაქტიკული ზომები, დასახა რეალური, კონკრეტული გზები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჭეშმარიტად ისტორიული დადგენილების შესასრულებლად.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დადგენილება ისტორიულია რესპუბლიკისათვის, იგი მთელი სიგრძე-სიგანითა და მასშტაბურობით განსაზღვრავს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების კარდინალურ მომართულებებს, მისი ეკონომიური პოტენციალის ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გზებს.

პარტიისა და მთავრობის დადგენილება საქართველოს კომუნისტებს უსახავს თვისებრივად ახალ ამოცანებს, პირველ პლანზე აყენებს მთელი ორგანიზაციორული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობის, სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მთელი კომპლექსის გაუმჯობესების, ეკონომიური და აღმზრდელობითი საქმიანობის ორგანული შერწყმის მთელი პოლიტიკური და ეკონომიური სტრატეგიისა და ტაქტიკის კიდევ მეტი სრულყოფის პრინციპულად ახალ პრობლემებს.

პლენუმის მონაწილეებმა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომლის ინიციატივითაც მიიღეს დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, ერთსულოვნად გადაუხადეს დიდი და გულითადი მადლობა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის ეხოდენ დიდი, ეშმარიტად ლენინური ზრუნვისათვის.

ამ ზრუნვაში ახალ, მკაფიო გამოხატულებას პოულობს ლენინური ეროვნული პოლიტიკა კომუნისტური პარტიის, რომელიც მუდმივ, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკაში სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას. ამასთან ადიდებს თითოეული მათგანის წვლილს საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტაში და ამით აფართოებს საბჭოთა ხალხების კავშირისა და ძმობის ეკონომიურ საფუძვლებს.

ეს განსაკუთრებული ყურადღება, ეს მუდმივი ზრუნვა კვლავ გამოვლინდა ბიჭვინთაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქართველოს სს რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ამახწინანდელი შეხვედრის დროს, როცა გამოითქვა რწმენა, რომ საქართველოს კომუნისტები პირნათლად შეასრულებენ მის წინაშე დასახულ ახალ, უფრო დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. მან თქვა, რომ საჭიროა შემდგომი ბეჯითი მუშაობა არსებული რეზერვების გამოყენებისათვის მრეწველობახა და სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გასაოდიდებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სს რესპუბლიკამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. განხორციელდა ელექტროენერგეტიკული ბაზის განვითარების ღონისძიებანი, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, როგორიცაა შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური, საავტომობილო, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსაშენებელი და გემთსაშენებელი დარგები. მნიშვნელოვნად განვითარდა კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. არსებითი ცვლილებანი მოხდა სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში. გაიზარდა ძვირფასი მრავალწლოვანი კულტურებისათვის გამოყოფილი ფართობები, გადიდდა ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, ტექნიკური კულტურების წარმოება.

მასთანავე დადგენილებაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ წლებში შენელდა რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი და შემცირდა მათი ხვედრითი წონა საერთო საკავშირო წარმოებაში. საკმარისად არ ვითარდებოდა მანქანათმშენებლობის შრომატევადი დარგები. მთლიანად არ არის გამოყენებული ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მევენახეობის, მებაღეობის, მებოსტნეობის განვითარებისათვის, სუსტად ვითარდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მცირეა საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონა მევენახეობასა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთ სხვა დარგში. ნაკლებ — ეფექტიანად გამოიყენება ხარწყავი მიწები. ნელი ტემპით მიმდინარეობს კოლხეთის დაბლობის სამეურნეო ათვისება.

ამრიგად, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილება, ისევე როგორც ამახ წინათ გამართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების გადაწყვეტილებანი, გამომდინარეობენ რესპუბლიკაში ობიექტურად შექმნილი მდგომარეობიდან, სერიოზული ჩამორჩენიდან, რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში არსებული იმ დიდი ნაკლოვანებებიდან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი წლების მანძილზე.

პარტიისა და მთავრობის აღნიშნული დადგენილება არის პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ძირითადი დებულებებისა და დასკვნების შემდგომი, ლოგიკური განვითარება, დადგენილებისა რომელშიც განსაკუთრებული ძალითა და სიმწვავით, განსაკუთრებული სიღრმითა და თანმიმდევრულობით იყო გამოაშკარავებული სერიოზული ხარვეზები, ნეგატიური ტენდენციები და მოვლენები რესპუბლიკის ეკონომიკაში, მრეწველობის ზრდის ტემპში. პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებაში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში.,

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა ამ ორ დადგენილებას შორის არსებული ლოგიკური კავშირი: სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ, რომლებმაც გაითვალისწინეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში უკანასკნელ წლებში შექმნილი მნიშვნელოვანი ჩამორჩენა, დასახეს რეალური, კონსტრუქციული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ამ ჩამორჩენის დაძლევას, სამრეწველო და სახოფლო-სამეურნეო წარმოების დაჩქარებულ განვითარებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეს დადგენილება გამოწვეულია სწორედ იმით, რომ საჭიროა მივაღწიოთ რესპუბლიკის ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას, რათა ავანაზღაუროთ დანაკლისი და გავიდეთ ახალ მიჯნებზე.

ამრიგად, დადებითად შეფასახეს რა დიდი მრავალმხრივი მუშაობა, რომელსაც ამჟამად ეწევიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მისი ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, ცენტრალური კომიტეტის პლენუმებურომ ახლა მტკიცე მატერიალური საფუძველი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შექმნეს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის განვითარების შემდგომი, უფრო დაჩქარებული ტემპისათვის, მისი კულტურის ახალი აღმავლობისათვის.

ეს არის იმ მზარდაჭერის კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულება, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი უწევს ღონისძიებებს, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისათვის, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღმოფხვრისათვის.

პლენუმისათვის დიდი მოსამზადებელი მუშაობა შესრულდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, მინისტრთა საბჭოში, რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, სამინისტროებსა და უწყებებში შემუშავებულია პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ამ დადგენილების შესრულებას.

ამ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება ბევრად გაადიდებს პროდუქციის მოცულობას და აამაღლებს რესპუბლიკის სამრეწველო და სახოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას, როგორც 1976-1980 წლებში, ისე შემდგომ პერიოდშიც.

პლენუმმა განიხილა და მოიწონა ეს ღონისძიებანი. ისინი აკონკრეტებენ საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მშენებლობის, ტრანსპორტის, საკურორტო მშენებლობის განვითარების ტემპის დაჩქარების გზებს, მისი ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და სპეციალიზაციის ძირითად მიმართულებებს.

მრეწველობის დარგში გათვალისწინებულია სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება მოქმედ სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობის პერსპექტიულ საკითხებს, კერძოდ, როგორც წარმოებაში, ისე მეცნიერულ-ტექნიკურ დარგში ოპერირებისა და სპეციალიზაციის პროცესის დაჩქარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ეკონომიური თანამშრომლობის განუხრელი გაღრმავება ორგანული რგოლია სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის, კომპლექსური პროგრამის ამოცანათა გადაწყვეტაში.

საბჭოთა და ბულგარელმა ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის დასკვნითი ეტაპის მომზადების ამოცანებს.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ მათ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ამასწინანდელი თათბირის კომუნიკეში ჩამოყალიბებული პოზიციები და შეხედულებანი მიაჩნიათ კონსტრუქციულ წვლილად, რომელიც ხელს უწყობს შემაჯამებელ დოკუმენტებზე სრულიად ევროპის თათბირის მონაწილეთა კოლექტიური მუშაობის წარმატებით დამთავრებას. ისინი მიესალმნენ ფინეთის წინადადებას, რომ თათბირის დამამთავრებელი სტადია მოეწყოს ფინეთის დედაქალაქში, და კვლავ გამოთქვეს რწმენა, რომ საჭირო იქნებოდა განეხილათ და მიეღოთ თათბირის დოკუმენტები უმაღლეს დონეზე. ევროპაში პოლიტიკური კლიმატის შემდგომი გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული ევროპის ყველა სახელმწიფოს აქტიურ მეცადინეობაზე კონტინენტზე მტკიცე მშვიდობის შენობის მშენებლობაში.

საბჭოთა და ბულგარელმა ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ საერთაშორისო მდგომარეობის გაჯანსაღებაში მიღწეულმა მნიშვნელოვანმა პროგრესმა უკვე დასახა ახალი პერსპექტივები სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა კეთილმეზობლური ურთიერთობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებისათვის. პოლიტიკურმა პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ დაძაბულობის შენელება შეესაბამება როგორც ევროპის ხალხთა ინტერესებს, ისე საყოველთაო მშვიდობის ინტერესებსაც.

საბჭოთა და ბულგარელი ხელმძღვანელების საუბრებმა დაადასტურეს შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა განხილულ საკითხზე.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ვ. სმირნოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კანდიდატი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. ულუევი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ტ. ჟივკოვი და ხ. ტოდოროვი ეაიცილეს ამხანაგებმა ლ. ი ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა, კ. თ. კატუშევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ნ. კ. ბაიბაკოვმა, ბ. ბ. ბუგაევმა, კ. ვ. რუსაკოვმა, ნ. ნ. როდიონოვმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. ულუევი და საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები. (საკდესი).

ამხანაგები ტ. ჟივკოვი და ხ. ტოდოროვი მოსკოვში ჩამოვიდნენ

8 მაისს მოსკოვში ხანმოკლე მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხ. ტოდოროვი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე საპატიო სტუმრებს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები ნ. კ. ბაიბაკოვი, ბ. ბ. ბუგაევი, კ. ვ. რუსაკოვი, ნ. ნ. როდიონოვი.

შემხვედრთა შორის იყვნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. ულუევი და საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

□ □

ა. ა. გრომიკო მოსკოვს დაბრუნდა

7 მაისს მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

მეგობრული შეხვედრა

8 მაისს მოსკოვში ხანმოკლე მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხ. ტოდოროვი. ვიზიტის დროს გაიმართა საუბრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და ამხანაგები ტ. ჟივკოვი და ხ. ტოდოროვი. საუბრებმა ტრადიციული ძმური მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა და ბულგარელმა ხელმძღვანელებმა განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომპარტიის, სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების მთავარი მიმართულებები. მხარეებმა აღაიარეს ერთიანობა ფუძემდებლური საკითხებისადმი, რომელიც ხელს უწყობს ამ ურთიერთობების ინტერნაციონალისტურ, სოციალისტურ ხასიათს, ეხმარება ორ ქვეყნის ეროვნული ინტერესების, ორ ეროვნებათა ინტერესების, ორ ეროვნებათა ინტერესების, ორ ეროვნებათა

საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის საბრძოლო პროგრამა

(დასასრული).

ხიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენებისა და ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ დანერგვის ბაზაზე. ამასთან გათვალისწინებულია უმეტესი რაოდენობის პროდუქციის მიღება მოქმედ საწარმოებში; შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარება, რათა უთუოდ შეკასრულოთ 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის დავალებანი და მტკიცე ბაზა შეექმნათ მომდევნო პერიოდში რესპუბლიკის საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარებისათვის.

დასახულია კიდევ უფრო განვითარდეს მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა, მანგანუმისა და ქიმიური მრეწველობა. შავი და ფერადი მეტალურგია, გაძლიერდეს სამუშაოები ნავთობისა და გაზის ახალ საბადოთა გამოვლინებისათვის, თერმული წყლების ენერგიის უფრო სრულად გამოყენებისათვის, ტრანსპორტის შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ, ტრანსკავკასიის რკინიგზისა და კაზრეთ-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობისათვის.

ახალ, მნიშვნელოვან აღმავლობას მიაღწევს კვებისა და მსუბუქი მრეწველობა, გაფართოვდება სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტი და გაუმჯობესდება მისი ხარისხი. კიდევ უფრო განვითარდება ვაჭრობა და მოხახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. ჯანმრთელობის დაცვა და საკურორტო მშენებლობა.

სოფლის მეურნეობის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანადაა დასახული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია იმ გზით, რომ გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, უკეთ გამოიყენოთ მელიორირებული მიწები. აუმაღლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დონე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ საჭიროა აღმოიფხვრას მრავალწლოვანი ნარგაზების სიმეჩხერე და გაიზარდოს ამ კულტურების დასთოლები, დაინერგოს ადგილობრივ პირობებში ყველაზე ეფექტიანი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაძღოლის ხერხები.

მკვეთრად უნდა გავზარდოთ საქართველოსათვის ისეთი სპეციფიკური სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, როგორიცაა ჩაი, ყორძენი, ხილი, ციტრუსები, სუბტროპიული მიწათმოქმედების პროდუქცია, განვავითაროთ მებოსტნეობა და მებაღეობა, ნამდვილად ყაირათიანად გამოვიყენოთ კოლხეთის დაბლობის დაუშრეტელი სიმდიდრე.

განსაკუთრებით ბევრი რამ უნდა გაკეთდეს მეცხოველეობის — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ამ ყველაზე ჩამორჩენილი და ყველაზე რთული უბნის აღმავლობისათვის, ამ დარგის შემდგომი განვითარების რეზერვების რაც შეიძლება სრული გამოყენებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების, იმ ხანგრძლივი კომპლექსური პროგრამის განხორციელების პრობლემები. რომელიც სოფლის მეურნეობის მექანიზაციას. ქიმიზაციას და მიწების მელიორაციას ითვალისწინებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ამოცანების, დებულებებისა და დასკვნების მიხედვით, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა თავის სიტყვაში ყაჩარის ოთვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ხაზეიმო სხდომაზე ალმა-ათაში.

ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამ ისტორიულ გამოსვლაში მეტად ღრმად და მეცნიერულად არის დასაბუთებული და ყოველმხრივ გაანალიზებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული პოლიტიკის მთავარი მიმართულებანი. ისევე როგორც ჭიანეს სოციალურ-ეკონომიური განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობის ბევრი აქტუალური პრობლემა.

სიტყვაში ალმა-ათის ზეიმზე ჩამოყალიბებულია სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების პროგრამა. მისი ეფექტიანობის ამაღლების ყველა რეზერვის, ყველა ბერკეტის ამოქმედება საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფო ამოცანაა, საყოველთაო-სახალხო საქმეა.

მშენებლობის დარგში ხკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ითვალისწინებს სამუშაოთა მოცულობის მკვეთრ გადიდებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შესრულდება კაპიტალური მშენებლობის გეგმები.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია სამშენებლო სამუშაოთა დიდი პროგრამა — ახალი ქარხნების, ელექტროსადგურების აგება, ახალი რკინიგზის მაგისტრალებისა და სარწყავი არხების გაყვანა, მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისება.

ბევრად გაიზრდება კაპიტალური დაბანდება სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის, გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის, საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელ დაწესებულებათა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების აგებისათვის, რომლებიც ახლად მშენებარე საწარმოების მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა უზრუნველყოფისათვისაა საჭირო.

პლენუმმა განსაზღვრა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის დარგში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებანი, დახასა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელების გზები.

დიდი ყურადღება დაეთმო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს, პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა წარიმართოს იგი ნამდვილად მეცნიერულ, პარტიულ საფუძველზე, ამაღლდეს ხაზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა იმ გზით, რომ გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, განხორციელდეს მისი ინტენსიფიკაცია დაგეგმვის სრულყოფის, მართვის ეფექტიანობის გადიდების, ეკონომიკის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ბაზაზე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე.

პლენუმმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ საჭიროა გაძლიერდეს მეცნიერების გავლენა რესპუბლიკის ეკონომიურ და სოციალურ განვითარებაზე, რომ კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის ეფექტიანობა ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებებს, უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტის, წარმოების მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვისათვის მუშაობის მოქნილი ორგანიზაციის უზრუნველყოფის დარგში მეცნიერთა შრომის ინტენსიფიკაციის საფუძველზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში განსაკუთრებითაა ხაზგასმული მოქმედ სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებისა და ახალი ტექნიკის და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების ფართო დანერგვის საფუძველზე სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ პრობლემას, რომ მოვამზადოთ კადრები, რომლებიც შეძლებენ წარმატებით გადაწყვიტონ რესპუბლიკის ხასალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანები, უწინარეს ყოვლისა, მაღალკვალიფიციურ მუშათა — ჩვენი ხაზოგადოების ძირითადი საწარმოო ძალის კადრები, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, ინჟინერთა, აგრონომთა და ტექნიკოსთა კადრები, რომლებიც დაკავებულნიან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, თანამედროვე დონის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მოთხოვნებს.

რესპუბლიკის ხასალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სახავს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული სამრეწველო საწარმოებისა და ხამშენებლო ორგანიზაციების მუშახელით სრული უზრუნველყოფის ამოცანას, ამასთან მხედველობაშია მიღებული, რომ ეს აგრეთვე რესპუბლიკაში სრეწველობის შრომატევადი დარგების საწარმოოა მშენებლობის ხაკითხების გადაჭრის ერთ-ერთი პირობაც არის.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა რაციონალურად, გონივრულად გამოვიყენოთ რესპუბლიკის შრომითი რესურსები, უზრუნველვყოთ ხასალხო მეურნეობა კვალიფიციურ მუშათა კადრებით იმ გზით, რომ მოვამზადოთ ისინი როგორც პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში, ისე თვით საწარმოებში, გადაჭრით ვებრძოლოთ მუშახელის დენადობას. მუშაკთა სტაჟიურ გადასვლას ერთი საწარმოდან მეორეში, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ქალის შრომა.

ქალის შრომის, როგორც ჩვენი შრომითი რესურსების გადიდების ერთ-ერთი მძლავრი რეზერვის გამოყენების პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებასა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს, მას სახელმწიფო მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკის ხასალხო მეურნეობის განვითარების ახალ მიმართულებებთან დაკავშირებით. ქალის შრომის გამოყენების დიდ შესაძლებლობებს იძლევიან ისეთი განვითარებადი დარგები, როგორიცაა მიკროელექტრონიკა, ხელსაწყოთმშენებლობა, მრეწველობის არალითონტევადი დარგები. აქტიურ შრომითს საქმიანობაში ქალების ჩასაბმელად საჭიროა შევიმხუბეჭოთ მათ საშინაო და საოჯახო საქმე. შეეუქნათ ნაყოფიერი შრომის, სოციალური და კულტურული გავითარების პირობები. ამ მიზნით უნდა გავაფართოოთ საბავშვო ბაღების, ბაგების, გახანგრძლივებული დღის სკოლების ქსელი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დიდი ყურადღება დაუთმო პარტიული და სახელმწიფო აპარატების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანული შეხამების. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების ორგანიზაციული და იდეოლოგიური უზრუნველყოფის საკითხებს.

პლენუმმა მოიწონა პარტიულ ორგანიზაციებს მტკიცედ და ბეჯითად დანერგონ და დაამკვიდრონ თავიანთი ხაქმიანობის ყველა სფეროში მუშაობის ლენინური, პარტიული ხაზის, პარტიული ხაზის განხორციელება. მუშაობის პარტიული სტილის დანერგვა, პოლიტიკისა და ეკონომიკის კავშირის განმტკიცება — აი რა არის ახლა ამოცანა.

იმის გამო, რომ გაძლიერდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლი სულ სხვადასხვაგვარი ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში, საჭიროა განუწყვეტლივ სრულყოფდეთ რაიონული, ხაქალაქო, სასოფლო და ხადაბო საბჭოების მუშაობის სტილს. ფორმებსა და მეთოდებს. ვამაღლებდეთ მათს პასუხისმგებლობას რესპუბლიკაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მომდინარეობისათვის.

რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებათ პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებმაც კიდევ უფრო უნდა განვითარონ სოციალისტური შეჯიბრება, უზრუნველყონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, შეიწავლონ და განაზოგადონ შეჯიბრების პრაქტიკა, წარმართონ იგი კონკრეტული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დიდი ამოცანები დაუსახა რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც მოწოდებული არიან ხათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდობის შრომითს აქტივობას და გაუძღვნენ მას ახალი ხასახელო პატრიოტული საქმეებისათვის. ჩაანაბა ახალგაზრდა თაობა შეუპოვარ, შემოქმედებითს შრომაში ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

პლენუმმა მოიწონა ქალიშვილებსა და ჭაბუკებს წავიდნენ ახალ მშენებლობებზე, ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, იქ, სადაც წყდება პარტიისა და მთავრობის დავალების შესრულების ბედი, სადაც სჭირია კომუნისტის ახალგაზრდა მშენებელთა დაუშრომელი მკლავი, გამჭრიახობა, მგზნებარე გული, შეუპოვრობა და სიმტკიცე.

პარტიისა და მთავრობის ისტორიული დადგენილების პრაქტიული განხორციელებისათვის მუშაობან სათავეში უნდა ჩაუდგნენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები და ამით გამოავლინონ თავიანთი ხელმძღვანელი და წარმართველი როლი. რესპუბლიკის დაჩქარებული ეკონომიური ზრდის პროგრამა აყენებს არა მარტო სამეურნეო და მმართველობითს ამოცანებს, არამედ აგრეთვე პოლიტიკური, იდეოლოგიური ხასიათის ამოცანებსაც.

პლენუმმა საჭიროდ ცნო ფართოდ, მოზაბმამართულად, ღრმად განმარტონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების აზრი და შინაარსი, განიხილონ იგი, აგრეთვე ამ დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანები პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, პროფკავშირულ ორგანიზაციებში, შეიმუშაონ მოქმედების კონკრეტული პროგრამა თვითეული შრომითი კოლექტივისათვის.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების საფუძვლიანი განმარტების მიზნით საჭიროა ავამოქმედოთ მთელი იდეოლოგიური ძალები, დავარაზმოთ იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკი, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენცია, პროპაგანდისტები, აგიტატორები, ლექტორები, მომხსენებლები, პრესა, რადიო და ტელევიზია, ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება, პოლიტიკური განათლების სისტემა, რათა ყოველმა კომუნისტმა, ყოველმა მშრომელმა ნათლად იცოდეს რესპუბლიკის დაჩქარებული ეკონომიური განვითარების მიზნები და ამოცანები.

ამ დადგენილების საფუძვლიანი შესწავლა უნდა მოვაწყოთ უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებში.

